

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი

16.01.2019

სააპელაციო საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ნოდარ პაპუკაშვილი - "შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის" რექტორი, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
ზურაბ გასიტაშვილი - სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი, - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
დევი ხვედელიანი - ა(ა)იპ - კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის მმართველი საბჭოს წევრი - საბჭოს მდივანი;
გიორგი სალუქვაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი, აკადემიური საბჭოს მდივანი;
სოფიკო ლობჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;
გრიგოლ ტატიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, რევაზ დოლონაძის სახელობის ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
ეკა ლეფსვერიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის პროფესორი;
თინათინ კაიშაური - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლალი გიორგიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
მარიამ დამბაშიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენლები:

1. შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეო:

მზია ქათამაძე - რექტორი;
თამარ გიორგობიანი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო კერძაია - იურიდიული სამსახურის უფროსი;

თამარ კერძაია - ყოფილი ვიცე-რექტორი
გიორგი სოსიაშვილი - ფინანსური სამსახურის უფროსი
სოფიო ფუტურიძე - დაწესებულების წარმომადგენელი
ნათია ბიჭოლაშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი
გვანცა კობახიძე - დაწესებულების წარმომადგენელი
მარინე შაქარაშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი
გოჩა ბარბაქაძე - დაწესებულების წარმომადგენელი
მარინა კობახიძე - დაწესებულების წარმომადგენელი
ნინო ქადაგიძე - დაწესებულების წარმომადგენელი
ნანა ხვიჩია - დაწესებულების წარმომადგენელი
გურამ ქათამაძე - დაწესებულების წარმომადგენელი

სხვა დამსწრე პირები:

დავით აფრასიძე - წინა მოწვევის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე;

მარიამ დარბაიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:09 საათზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ნოდარ პაპუკაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26⁵-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 26⁷-ე მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების 26⁶-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოდან სხდომას ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე დავით აფრასიძე. ასევე, სხდომას ესწრებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოქმედი თავმჯდომარეც.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ უნიჯეოს სააპელაციო საჩივრის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. საბჭოს წინაშე შუამდგომლობა არ იქნა წარდგენილი, შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ უნიჯეოს სააპელაციო საჩივრის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ჰქონდა თუ არა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარს და საჩივართან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ, ნოდარ პაპუკაშვილმა განაცხადა, რომ საბჭოს მიმდინარეობისას თავდაპირველად აჯობებდა რომ მოესმინათ სააპელაციო საჩივრის ავტორისთვის, შემდეგ საბჭო მოისმენდა დავით აფრასიძის პოზიციას, ხოლო შემდგომ სააპელაციო საბჭო ორივე მხარეს დაუსვამდა შესაბამის კითხვებს.

საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ უნიჯეოს იურიდიული სამსახურის უფროსმა, ნინო კერძაიამ განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, ადგილი ჰქონდა რიგი სამართლებრივი ნორმების დარღვევის შემთხვევას. მისი განცხადებით დარღვეულ იქნა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ის ძირითადი პრინციპი, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას - ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელოვანი ყველა გარემოება და ამ გარემოების ურთიერთშეჯერების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება. მეორე პრინციპი, რომელიც დარღვეულ იქნა, ეს იყო ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარის უფლება -

ადმინისტრაციულ წარმოების პროცესში წარმოადგინოს მისი პოზიცია, შუამდგომლობა და მტკიცებულებები. ნინო კერძაიას თქმით, ასევე დარღვეულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა მინისტრის N99-ე ბრძანებით დამტკიცებული ავტორიზაციის დებულების ძირითადი პრინციპი, რომელიც გულისხმობს, რომ ავტორიზაციის საბჭოს ყველა წევრი ვალდებულია ზეპირი მოსმენის გამართვამდე შეისწავლოს ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, მათ შორის ექსპერტთა დასკვნა, ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისად, ამ გარემოებების გამოკვლევის შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება. მისი განცხადებით, აღნიშნული სამართლებრივი ნორმების დარღვევა გამოხატულ იქნა იმაში, რომ როდესაც ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ სხდომაზე დააყენა საკითხი დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭების ან გაუქმების შესახებ, მაშინ გაცხადებულ იქნა, რომ მეოთხე სტანდარტთან მიმართებით, ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტებთან“ უნდა ყოფილიყო „არ არის შესაბამისობაში სტანდარტებთან“. მისი განცხადებით აღნიშნული წარმოადგენს დარღვევას. ამასთან ერთად, ნინო კერძაიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ავტორიზაციის საბჭოს მიმდინარეობისას არ მიეცა საშუალება ემსჯელა განსახილველ საკითხზე. მისი თქმით, აქედან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის მიხედვით, არ შეიძლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოებები, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. ნინო კერძაიას განმარტებით, დაწესებულების წარმომადგენლებს, ზეპირი მოსმენისას არ ჰქონდათ საშუალება ბოლომდე დაესრულებინათ საკუთარი არგუმენტაცია. გარდა ამისა, მისი თქმით დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს არ ეცნობოდა ავტორიზაციის საბჭოს ყველა წევრი და დრო ეთმობოდა ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას. მისი თქმით, ყველა ზემოთჩამოთვლილი დარღვევა, ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, არის აქტის ბათილობის საფუძველი.

ნინო კერძაიას მიერ გამოთქმულ პოზიციზე პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებით დავით აფრასიძემ განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭოს სხდომა მიმდინარეობდა დაახლოებით 2 საათის განმავლობაში და აღნიშნული არსებითად სცემდა პასუხს ნინო კერძაიას პოზიციას ყველა საკითხის გამოკვლევის შესახებ. გარდა ამისა, დავით აფრასიძე დაინტერესდა თუ რას გულისხმობდა ნინო კერძაია მაშინ, როდესაც მან განაცხადა, რომ ავტორიზაციის საბჭოს ყველა წევრს არ ჰქონდა შესწავლილი დოკუმენტაცია. დავით აფრასიძის განმარტებით, ავტორიზაციის საბჭოს ყოველი სხდომა იწყებოდა შეკითხვით, იცნობდნენ თუ არა საბჭოს წევრები ყველა დოკუმენტაციას. მისი თქმით აღნიშნულის გადამოწმების რაიმე მექანიზმი არ არსებობდა, თუმცა როგორც წესი, საბჭოს წევრები ეცნობოდნენ ყველა დოკუმენტს, რომელშიც მოიაზრებოდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მათ შორის არგუმენტირებული პოზიცია და თვითშეფასების ანგარიში. დავით აფრასიძემ მე-4 სტანდარტთან დაკავშირებით განმარტა, რომ საკითხი ეხებოდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში არსებულ ტექნიკურ უზუსტობას, რომელიც მითითებულ იქნა საბჭოს მიერ. კერძოდ, როდესაც მე-4 სტანდარტის რომელიმე კომპონენტი შეფასებული იყო როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, მთლიანი სტანდარტი ფასდებოდა, როგორც - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან. დავით აფრასიძემ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, საბჭომ გაახმოვანა

დებულების ის ჩანაწერი, რომელიც ცალსახად ამბობდა, რომ მე-3 ან/და მე-4 სტანდარტში ერთ-ერთი კომპონენტის შეფასება, როგორც - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან, გულისხმობდა მთლიანი სტანდარტის შეფასებას, როგორც - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან. დავით აფრასიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს წესით უნდა სცოდნოდათ, თუ რას ნიშნავდა ეს შეფასება და აღნიშნულ ტექნიკურ უზუსტობაზე ხაზგასმა მათთვის სიახლე არ უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, დავით აფრასიძემ აღნიშნა, რომ გარდა მე-4 სტანდარტისა, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში არსებობდა რიგი სტანდარტები, რომელიც შეფასებული იყო როგორც - „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“. მისი განმარტებით, თუნდაც მე-4 სტანდარტის შეფასება ყოფილიყო - ნაწილობრივ შესაბამისი, ისე როგორც დასკვნაში იყო შეფასებული, აღნიშნული გარემოება საბჭოს გადაწყვეტილების ცვლილებას არ გამოიწვევდა, ვინაიდან როგორც აღნიშნა, იყო სხვა სტანდარტებიც, რომლებიც შეფასებული იყო როგორც - არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

რაც შეეხება სააპელაციო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ მათ ზეპირ მოსმენაზე არ მიეცათ საშუალება თავიანთი არგუმენტაცია წარმოედგინათ, დავით აფრასიძემ სააპელაციო საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ავტორიზაციის საბჭოს ნებისმიერი წევრი, რომელიც ესწრებოდა სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვას დაადასტურებდა რომ ავტორიზაციის საბჭომ სრული შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ თავიანთი პოზიცია და არგუმენტაცია. გარდა ამისა, დავით აფრასიძემ აღნიშნა, რომ როდესაც ავტორიზაციის საბჭო იხილავდა მე-2 სტანდარტს, რომელიც ეხება უსდ-ს ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მართვას, აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენლების პასუხები იყო ურთიერთგამომრიცხავი და წარმოდგენილი იმ თანამდებობის პირების მიერ, რომელთა ფუნქციებშიც აღნიშნულ საკითხებზე პასუხის გაცემა არ შედიოდა. ეს ასევე გახდა ერთ-ერთი საფუძველი იმისა, რომ ავტორიზაციის საბჭო დარწმუნებულიყო, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა მე-2 სტანდარტთან მიმართებით იყო არსებითად შესაბამისი. შესაბამისად, ავტორიზაციის საბჭოს ექსპერტთა არცერთი შეფასება არ შეუცვლია, გარდა მე-4 სტანდარტის შეფასებაში ტექნიკური ხასიათის ცვლილებისა. დავით აფრასიძემ სთხოვა აპელაციის საბჭოს, გაემახვილებინათ ყურადღება იმ საკითხზე, რომ თუკი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ახალი შემადგენლობის ავტორიზაციის საბჭოს წარედგინებოდა, რამდენად შეძლებდა ავტორიზაციის საბჭო, იგივე დასკვნის შინაარსის პირობებში, არსებითად შეეცვალა ექსპერტთა მიერ წარმოდგენილი დასკვნა სააპელაციო საჩივარში აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით. მისი განმარტებით, წინააღმდეგ შემთხვევაში საბჭოს ფორმალური საფუძველი არ ექნებოდა იმისათვის, რომ მიეღო სხვა გადაწყვეტილება.

დავით აფრასიძეს პოზიციას გამოეხმაურა დაწესებულების წარმომადგენელი, რომლის განცხადებითაც ავტორიზაციის საბჭო ვალდებული იყო მე-4 სტანდარტთან დაშვებული ტექნიკური ხასიათის ხარვეზი გამოეკვლია ზეპირი მოსმენის გამართვამდე.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ პაპუკაშვილმა აღნიშნა, რომ სააპელაციო საბჭო გაეცნო ექსპერტების დასკვნას, ასევე ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმს და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, მათ შორის დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შრომით

კონტრაქტს. იგი დაინტერესდა, წარმოდგენილ იქნა თუ არა აღნიშნული დოკუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფის დაწესებულებაში ვიზიტის დროს, თუ წარმოდგენილ იქნა მას შემდეგ, როდესაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაფიქსირდა რომ აღნიშნული დოკუმენტაცია არ არსებობდა.

დაწესებულების იურიდიული სამსახურის უფროსის, ნინო კერძაიას განმარტებით, ყველა ეს დოკუმენტი შედგენილი იყო მაშინ, როდესაც განხორციელდა ექსპერტთა ვიზიტი. მისი თქმით, არსებობდა დოკუმენტები, რომლებიც შეიქმნა პროცესიდან გამომდინარე. იმ პროცესიდან, რომელიც დაიწყო ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს. მისი განცხადებით, შედეგობრივად აღნიშნული დოკუმენტები შეიქმნა შემდგომ, გამომდინარე იქიდან, რომ შეუძლებელი იყო ამ პროცესში აღნიშნული დოკუმენტაციის შექმნა. მან დაამატა, რომ დოკუმენტაცია, რომელიც იქნა წარმოდგენილი, უშუალოდ შექმნილი იყო ექსპერტთა ვიზიტის დროს. დაწესებულების ხარისხის სამსახურის უფროსმა, თამარ გიორგობიანმა, განმარტა, რომ აღნიშნული დოკუმენტაცია ექსპერტთა ვიზიტამდე არსებობდა. მისი განმარტებით, დაწესებულებამ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრს წარუდგინა ყველა ის დოკუმენტაცია, რომელიც დაწესებულებას მოეთხოვებოდა. თუმცა აღსანიშნავი იყო, რომ როდესაც ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შედგა, 3 დღის განმავლობაში, ჯგუფის მიერ ადგილზე ინტერვიუების შედეგად გამოთხოვილ იქნა უამრავი დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის ის ხელშეკრულებაც, რომელზეც სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე საუბრობდა. თამარ გიორგობიანის განცხადებით, ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლების მიერ ექსპერტთა ჯგუფისთვის წარდგენილ იქნა დოკუმენტების დიდი ნაწილი.

ნოდარ პაპუკაშვილი დაინტერესდა ბიზნეს უწყვეტობის გეგმით და დაწესებულებას მიმართა კითხვით, არსებობდა თუ არა აღნიშნული დოკუმენტი ექსპერტთა ვიზიტის დროს. თამარ გიორგობიანის განმარტებით აღნიშნული დოკუმენტი ნამდვილად არსებობდა, თუმცა ექსპერტების დასკვნაში წერია რომ ბიზნეს უწყვეტობის გეგმა არ იყო სრულყოფილი.

თამარ გიორგობიანმა აღნიშნა, რომ მას შემდეგ რაც დაწესებულებამ მიიღო ექსპერტთა დასკვნის პროექტი, მათ წარმოადგინეს არგუმენტირებული პოზიცია ყველა სტანდარტთან მიმართებით. თამარ გიორგობიანმა აღნიშნა, რომ სააპელაციო საბჭოზე წარმოადგენდა დაწესებულების პოზიციას ყველა სტანდარტთან მიმართებით. ნოდარ პაპუკაშვილმა შესთავაზა დამსწრე საზოგადოებას, რომ უმჯობესი იყო, თუკი პირდაპირ პრობლემურ ნაწილებზე გაამახვილებდა ყურადღებას დაწესებულების წარმომადგენელი.

დავით აფრასიძის მოსაზრებით, პროცედურულად, სააპელაციო საბჭოს მიმდინარეობისას აქცენტი უნდა გაკეთებულიყო იმაზე, თუ რა არ განიხილა ავტორიზაციის საბჭომ, ან რა განიხილა არასწორად. ხოლო თუ სააპელაციო საბჭო შეეცდებოდა გამოეკვლია თუ რა არ განიხილეს ექსპერტებმა ვიზიტის მიმდინარეობისას, მისი მოსაზრებით, ეს ავტორიზაციის საბჭოს კომპეტენციას წარმოადგენდა.

სააპელაციო საბჭოს წევრი გიორგი სალუქვაძე დაინტერესდა დასკვნაში ასახული ინფორმაციით, რომლის თანახმადაც, უარყოფითადაა შეფასებული ორი შემთხვევა: როდესაც პიროვნება იკავებს არამხოლოდ იმ პოზიციას, რომელზეც იქნა დანიშნული, არამედ იმავედროულად სხვა თანამდებობაზე მოვალეობის შემსრულებელიცაა. მაგალითად ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის უფროსი იმავდროულად იკავებდა ადამიანური რესურსების სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის პოზიციას. გიორგი სალუქვაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, შეიძლება თუ არა კერძო უმაღლეს სასწავლებელში აღნიშნული ორი პოზიციის შეთავსება. ნოდარ პაპუკაშვილის განმარტებით, უმჯობესი იყო, თუ ამ საკითხს საბჭო დაუბრუნდებოდა მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც მოისმენდა დაწესებულების პოზიციას ყველა სტანდარტთან მიმართებით.

თამარ გიორგობიანმა ყურადღება გაამახვილა ავტორიზაციის მეორე სტანდარტზე, რომელიც ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან. თამარ გიორგობიანმა აღნიშნა, რომ იგი ერთდროულად იმყოფებოდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პოზიციაზე და იმავდროულად იყო სასწავლო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელიც. მისივე განმარტებით, ადამიანური რესურსების სამმართველოს უფროსი ასევე ასრულებდა კანცელარიის უფროსის მოვალეობას. თამარ გიორგობიანი აღნიშნავდა, რომ როდესაც დაწესებულებამ შეიმუშავა სტრატეგიული გეგმა, იგი ასევე ითვალისწინებდა სტრატეგიული გეგმის რევიზიას. მან აღნიშნა, რომ თავად დაწესებულებამ მოახდინა აღნიშნულზე რეაგირება და დააფიქსირეს პოზიცია, რომ უმჯობესი იყო თუ ერთი ადამიანი შეასრულებდა ერთი თანამდებობისთვის განკუთვნილ მოვალეობებს სტუდენტებისთვის მაღალი ხარისხის შეთავაზების მიზნით. მისი განმარტებით აღნიშნულის შესახებ მაშინვე იყვნენ ექსპერტები ინფორმირებულები და მათ მიერ წარდგენილ იქნა მტკიცებულება. კერძოდ, დაწესებულებას გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი კანცელარიის უფროსის პოზიციასა და სასწავლო დეპარტამენტის უფროსის პოზიციაზე. თამარ გიორგობიანმა ასევე აღნიშნა, რომ ინფორმაციების ტექნოლოგიებისა და მატერიალური რესურსების სამსახურის შესახებ ექსპერტების მიერ გამოთქმული პოზიცია, რომლის მიხედვითაც ამ სამსახურის უფროსს არ ჰქონდა აღნიშნული თანამდებობის შესაბამისი განათლება, მისი განმარტებით, წარმოუდგენელია, რომ ერთ ადამიანს ჰქონოდა ყველა მიმართულებით კომპეტენცია. თამარ გიორგობიანმა დამატებით აღნიშნა, რომ აღნიშნული პიროვნება არ იყო კვალიფიციური ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით, თუმცა სამსახურში ჰყავდა ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით ერთი თანამშრომელი, ხოლო მეორე, ხელშეკრულების პრინციპით მოწვეული სპეციალისტი.

თამარ გიორგობიანმა სტუდენტურ თვითმმართველობის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულზე დაქვემდებარების საკითხზე აღნიშნა, რომ უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, სტუდენტური თვითმმართველობა იყო დამოუკიდებელი ერთეული. დაწესებულების წარმომადგენელი ასევე შეეხო 2.2. კომპონენტს, რომელიც ეხებოდა შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. თამარ გიორგობიანი არ ეთანხმებოდა ექსპერტების მიერ დასკვნაში დაფიქსირებულ პოზიციას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ზოგადი ხასიათის ქონის შესახებ და აღნიშნავდა, რომ მექანიზმები მოიცავდა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებას, სასწავლო პროცესის შეფასებას, აკადემიური პერსონალის შეფასებას, სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას და მატერიალური რესურსების შეფასებას. იგი ასევე არ ეთანხმებოდა ექსპერტთა პოზიციას შეფასებებში კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და დამსაქმებულების არ ჩართვის შესახებ და აღნიშნავდა, რომ აღნიშნული გამოკითხვები ნამდვილად ტარდებოდა და ჩართული იყო

ყველა მხარე. მან განაცხადა, რომ აღნიშნული გამოკითხვები წარედგინათ ექსპერტებს მატერიალური ფორმით. ასევე, საიტიდან ჩამოტვირთულ იქნა ონლაინ რეჟიმში არსებული კითხვარები, თუმცა დაწესებულების იურისტის რეკომენდაციით ეს კითხვარები კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით, უკან იქნა გამოთხოვილი, რათა მომხდარიყო გამოკითხვის ფურცლებზე არსებული სახელი და გვარების წაშლა და შემდეგ ისევ იქნა წარდგენილი ექსპერტების წინაშე. გარდა ამისა, იგი არ ეთანხმებოდა დასკვნაში მოხსენიებულ ფაქტებს იმის შესახებ, რომ ლექტორები არ იცნობდნენ სტუდენტების მიერ შევსებული გამოკითხვების შედეგებს. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, არსებობდა შესაბამისი მტკიცებულებები, კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფს წარედგინა ადამიანური რესურსების სამსახურის მიერ აკადემიურ პერსონალთან გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინებები.

თამარ გიორგობიანის მტკიცებით, დაწესებულებას ჰქონდა პლაგიატის პრევენციის მექანიზმები. დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება ერთ-ერთ ორგანიზაციასთან, რომელიც სისტემაში ამოწმებდა ნაშრომებს პლაგიატის დასადგენად. იგი არ ეთანხმებოდა ექსპერტების პოზიციას, თითქოს პერსონალი ვერ აცნობიერებდა პლაგიატის არსს და ამბობდა, რომ ექსპერტთა ვიზიტის განხორციელებამდე, დაწესებულებაში მიმდინარეობდა მოსამზადებელი შეხვედრები პერსონალთან, რომლის დროსაც პლაგიატის საკითხიც განიხილებოდა. გარდა ამისა, თამარ გიორგობიანმა აღნიშნა, რომ იგი რამდენიმე შეხვედრაზე იმყოფებოდა ექსპერტთა ჯგუფთან როგორც აკადემიური საბჭოს წევრი, ისე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ასევე სტრატეგიული გეგმის შემუშავებელი ჯგუფის წევრი და აღნიშნა, რომ პლაგიატის შესახებ არ დასმულა არც ერთი კითხვა. მისი განმარტებით დასკვნის მიღების შემდგომ, დაწესებულების წარმომადგენლები დაუკავშირდნენ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს და დაინტერესდნენ აღნიშნული საკითხით, თუმცა, პერსონალის განმარტებით, პლაგიატთან დაკავშირებით ვიზიტისას კითხვები არ დასმულა.

თამარ გიორგობიანი შეეხო ვიზიტზე თარჯიმნის საკითხსაც. მისი ინფორმაციით, დაწესებულების მიერ დაქირავებული თარჯიმანი არ იქნა შეხვედრებზე დაშვებული და პროცესი თარგმნით იქნა ცენტრის მიერ დაქირავებული ორი თარჯიმნის მიერ, რომელთაგან ერთ-ერთი ვერ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას ჯეროვნად. მისი მტკიცებით, დაკარგულ იქნა ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია. აღნიშნულს ეხმიანება ცენტრის წარმომადგენელი, მარიამ ღამბაშიძე, რომელიც ვიზიტზე იქნა მივლენილი ცენტრის მიერ. მისი განმარტებით, ინფორმაციის დაკარგვას ადგილი არ ჰქონია და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ინფორმირებული იყო ყველა დეტალის შესახებ. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის დანარჩენი წევრები იყვნენ ადგილობრივი ექსპერტები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარმოადგენდა საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების საერთო ნააზრევის და შეფასების შედეგს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არ ეთანხმებოდა დასკვნაში წარმოდგენილ პოზიციას, სადაც მოხსენიებული იყო, რომ პერსონალის არჩევის კრიტერიუმები არ იყო მკაფიოდ გაწერილი და საკონკურსო პირობები იყო ბუნდოვანი. აღნიშნულ საკითხზე ექსპერტების მიერ მოთხოვნილი იქნა საკონკურსო ოქმები, რომლებიც ვიზიტის მიმდინარეობისას იქნა მიწოდებული. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საკონკურსო წესი შედგებოდა ორი ეტაპისაგან.

პირველი ეტაპი წარმოადგენდა დოკუმენტაციის განხილვას, ხოლო შემდგომ, თუ კომისია ჩათვლიდა, რომ დოკუმენტაციის მიხედვით აპლიკანტი იმსახურებდა მომდევნო ეტაპზე გადასვლას, იგი წარდგებოდა კომისიის წინაშე, რომელიც ითვალისწინებდა გასაუბრებას. მისი თქმით, ექსპერტები თვლიდნენ, რომ დაწესებულებას ჰქონდა შემუშავებული ქულობრივი გრადაცია, თუმცა საკონკურსო კომისია გასაუბრების დროს ადგენდა რამდენად შეიძლებოდა აღნიშნულ პერსონალს გაეგლო აკადემიური კონკურსი და ჩათვალა გამარჯვებულად.

გარდა ამისა, თამარ გიორგობიანი არ ეთანხმებოდა დასკვნაში მოხსენიებულ ექსპერტთა პოზიციას 40 საათიანი დატვირთვის დარღვევის შესახებ და განაცხადა, რომ აღნიშნული რეგულაციის დარღვევას ადგილი არ ჰქონია და დაწესებულებამ წარადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია ამის დასადასტურებლად, თუმცა მისი თქმით, დასკვნაში არ იქნა ასახული აღნიშნული. ნოდარ პაპუკაშვილი დაინტერესდა, თუ რას დაეყრდნო ექსპერტთა აღნიშნული პოზიცია, რაზეც ნინო კერძაიამ განაცხადა, რომ სავარაუდოდ არ იქნა გათვალისწინებული შინაგანაწესით დამტკიცებული შესვენების საათი, რომელიც ერთ საათს გულისხმობდა, 13:00-დან 14:00-მდე.

თამარ გიორგობიანი შეეხო მე-5 სტანდარტს და აღნიშნა, რომ დაწესებულებას მკაფიოდ ჰქონდა დაწერილი ყველა ის წესი, რომელიც სტანდარტით მოეთხოვებოდათ და ყველა წესი გაწერილი იყო ხელშეკრულებაში. იგი არ ეთანხმებოდა ექსპერტების პოზიციას იმის თაობაზე, რომ თითქოს დაწესებულება არ აცნობდა სტუდენტებს ხელშეკრულების პირობებს. ასევე მან დაამატა, რომ სტუდენტები ეცნობოდნენ ხელშეკრულებას და შემდეგ აწერდნენ მასზე ხელს. მისივე განმარტებით, აღნიშნული წესები გამოქვეყნებული იყო დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზეც.

დავით აფრასიძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ როდის ჰქონდათ შემუშავებული ადმინისტრაციული პერსონალის სამსახურში მიღების წესი. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული წესი შემუშავდა 2018 წლის გაზაფხულზე. დავით აფრასიძემ სააპელაციო საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად, 2018 წლის აგვისტოში მოხდა ადმინისტრაციული პერსონალის აყვანა დამტკიცებული წესის დარღვევით მოხდა.

თამარ გიორგობიანი არ ეთანხმებოდა ექსპერტების პოზიციას უნივერსიტეტში მყოფი აზერბაიჯანელი სტუდენტების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ყველა პროგრამაში ჩაწერილი იყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა. ის სტუდენტი, რომელიც ვერ ფლობდა ქართულ ენას, მისთვის დაწესებულებაში ფუნქციონირებდა აკრედიტებული ქართულ ენაში მომზადების პროგრამა. მან განმარტა, რომ ჩატარებული ტესტები სტუდენტების პირად საქმეებშიც იყო განთავსებული. თუმცა აღნიშნავდა, რომ არსებობდა სტუდენტთა კატეგორია, რომელიც სათანადოდ ვერ ფლობდა სამეტყველო დონეზე ქართულ ენას, რათა სწავლა განეხორციელებინა.

ავტორიზაციის საბჭოს მოქმედმა თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ მიმართა სააპელაციო საბჭოს შუამდგომლობით, რომ დაწესებულების წარმომადგენლისთვის დაესვა კითხვა. სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ მას მისცა კითხვის დასმის საშუალება. მარიამ დარბაიძე დაინტერესდა, რამდენად ჰქონდა სასწავლო პროცესში ჩართულ თარჯიმანს დარგობრივი კვალიფიკაცია, რათა ეფექტურად განეხორციელებინა ლექციებისა და სემინარების თარგმნა. დაწესებულების წარმომადგენლის

განმარტებით, სასწავლო პროცესში თარჯიმნის გამოყენებას მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ჰქონდა ადგილი. უნივერსიტეტი წარმომადგენლის განმარტებით თარჯიმანი საორგანიზაციო საკითხებში ეხმარებოდა სტუდენტებს.

გარდა ამისა, თამარ გიორგობიანი ეწინააღმდეგებოდა დასკვნაში მოხსენიებულ ექსპერტთა პოზიციას, რომელიც აკადემიური პერსონალის არაკომპეტენტურობას ეხებოდა. კერძოდ მოხსენიებულ იქნა ნინო კერძაია, რომელიც უძღვებოდა სანოტარო სამართლის კურსს.

მარიამ დარბაიძე ასევე დაინტერესდა, ყოფილა თუ არა შემთხვევა, როდესაც ქართულენოვანი პროგრამის მესამე კურსის არაქართულენოვანმა სტუდენტმა არ იცოდა ქართული. რაზეც თამარ გიორგობიანმა განაცხადა, რომ ასეთი შემთხვევები არსებობდა. მარიამ დარბაიძე ასევე დაინტერესდა, თუ როგორ ხდებოდა მათი შეფასება, ან სტუდენტის კურსიდან კურსზე გადასვლა, თუ სტუდენტი არ ფლობდა ქართულ ენას. აღნიშნულზე დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ფიქსირდებოდა. დავით აფრასიმემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოსთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა მსგავსი ხასიათის დარღვევებს ჰქონდა მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ადგილი თუ არა. მისი მოსაზრებით, შეუძლებელი იყო, რომ საერთაშორისო სტუდენტებს, რომლებმაც არ იცოდნენ ქართული ენა, თარჯიმნის დახმარებით ესწავლათ ქართულენოვან პროგრამაზე, მიეღოთ დადებითი შეფასებები და გასულიყვნენ პროგრამით გათვალისწინებულ შედეგებსა და მიზნებზე.

სააპელაციო საბჭოს წევრი, ეკა ლეფსვერიძე დაინტერესდა დაწესებულების მიერ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული მარინე შაქარაშვილის სტატიით, სადაც ავტორი მოხსენიებული იყო, როგორც გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტთან აფილირებული აკადემიური პერსონალი, რაზეც მარინე შაქარაშვილმა მიუგო, რომ ეს სავარაუდოდ იყო შეცდომა და იგი არასოდეს ყოფილა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში აფილირებული პერსონალი.

ფინანსური სამსახურის უფროსი, გიორგი სოსიაშვილი შეეხო დაწესებულების წინაშე მდგარ ფინანსურ პრობლემას, კერძოდ 51 უცხოელი სტუდენტის საკითხს და აღნიშნა, რომ აღნიშნული პრობლემა უკვე მოგვარებული იყო. მან დაამატა, რომ ავტორიზაციის საბჭოს სხდომის დროსაც აღნიშნული პროცესის მოგვარება ნაწილობრივ დაწყებული იყო.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ პაპუკაშვილი დაინტერესდა დაწესებულების ბიუჯეტით და განაცხადა, რომ კომპანიას ფაქტობრივად არ უჩანდა მოგება, რაზეც გიორგი სოსიაშვილმა უპასუხა, რომ აღნიშნული გამოწვეული იყო ქვეყანაში არსებული ნაკლებად ჯანსაღი გარემოთი დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ ბიუჯეტში იყო მითითებული დაწესებულების განვითარების ხედვა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა კონტრაქტები იმ კომპანიებთან, რომლებმაც უკვე განახორციელეს ინვესტიციები და მაგალითად მოჰყავს კონტრაქტი ლიფტის შესახებ. ნოდარ პაპუკაშვილი დაინტერესდა იყო თუ არა შენობაში ლიფტი, რაზეც გიორგი სოსიაშვილმა მიუგო, რომ ამჟამად აზრი არ ჰქონდა ლიფტის დამონტაჟებას, თუმცა ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში აღნიშნული კონტრაქტი ამოქმედდებოდა.



მარიამ დარბაიძე დაინტერესდა იყო თუ არა ბიუჯეტი დაკავშირებული სტრატეგიული გეგმასთან, რაზეც გიორგი სოსიაშვილმა უპასუხა, რომ მათ იხელმძღვანელებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტის მოდელის მიხედვით და ბიუჯეტი განაწილებულ იქნა სკოლების მიხედვით.

სააპელაციო საბჭოს წევრი, გიორგი სალუქვაძე დაინტერესდა, რას წარმოადგენდა დაწესებულების მისია, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა უპასუხეს, რომ დაწესებულების მისია იყო სტუდენტისთვის ხარისხიანი განათლების მიცემა, კვალიფიციური პერსონალის დასაქმება, სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის გადასახადის მოქნილი გრაფიკის შეთავაზება, სტომატოლოგიური კლინიკით სარგებლობის შესაძლებლობა და იურიდიული კლინიკით სარგებლობის შესაძლებლობა.

ნოდარ პაპუკაშვილი დაინტერესდა რატომ არ იყო დაწესებულებაში დამონტაჟებული ლიფტი, თუ დაწესებულების წარმომადგენლებმა იცოდნენ, რომ ლიფტის არქონა ავტორიზაციის პროცესში პრობლემას შექმნიდა, ვინაიდან ადაპტირებული გარემოს მოთხოვნა პირდაპირ ეწერა ავტორიზაციის სტანდარტებში. გიორგი სოსიაშვილის განცხადებით დაწესებულების ფინანსები უფრო მნიშვნელოვან ნაწილზე გადანაწილდა, მაგალითად: მულაჟებსა და წიგნებზე, ვიდრე ლიფტზე. მისი განმარტებით დაწესებულებამ დასახა პრიორიტეტები და აღნიშნეს, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს სსსმ პირი არ ჰყავდათ.

ნოდარ პაპუკაშვილი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა, რაზეც თამარ გიორგობიანმა უპასუხა, რომ ექსპერტთა ვიზიტის სისტემა არ იყო ბოლომდე გამართული, თუმცა არსებობდა ხელშეკრულება.

სააპელაციო საბჭოს წევრმა, გრიგორ ტატიშვილმა ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოხსენიებულ ფაქტზე ექიმის კაბინეტის შესახებ და მიმართავს დაწესებულებას, თუ რით ამართლებდნენ იმ ფაქტს, რომ ექიმის კაბინეტი და რენდგენის კაბინეტი ერთი და იგივე ოთახი იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა, გურამ ქათამაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ოთახი წარმოადგენდა ვიზიოგრაფიის ოთახს, სადაც ნაკლები რაღაცა იყო.

გრიგორ ტატიშვილი დაინტერესდა დიპლომების შესაძლო გაყალბების საკითხით და აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების პოზიციით. თამარ გიორგობიანის განმარტებით, ცენტრმა დაწესებულებას გაუზავნა წერილი აღნიშნულთან დაკავშირებით. მან განმარტა, რომ მომჩივანი იოვან დიდიერი დაწესებულების საპატიო პროფესორი იყო და იგი მართავდა საჯარო ლექციებს. აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით, თამარ გიორგობიანი იმყოფებოდა განათლების სამინისტროს ინიციატივით გამართულ შეხვედრაზე.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე, მარიამ დარბაიძე დაინტერესდა თუ რით ამართლებდა დაწესებულება მათ საფირმო სახელწოდებაში არსებულ სიტყვას „საერთაშორისო“, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა მიუგეს, რომ სახელს ამართლებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებთან კონტაქტით, საერთაშორისო კონფერენციებში და ტემპუსის პროექტებში მონაწილეობით.

სააპელაციო საბჭოს წევრმა, ეკა ლეფსვერიძემ მიმართა დავით აფრასიძეს, ხომ არ ყოფილა სააპელაციო საბჭოზე განხილული ისეთი საკითხი ან გარემოება, რომელიც არ იქნა განხილული ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე. დავით აფრასიძემ განაცხადა, რომ სააპელაციო საბჭოს სხდომაზე ასეთი საკითხი ან გარემოება არ იყო განხილული. შესაბამისად, ყველა საკითხზე, რომელზეც იყო სააპელაციო საბჭოზე მსჯელობა, ასევე განხილული იყო ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე. დავით აფრასიძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე მოხდა ყველა არსებითი მნიშვნელობის საკითხის განხილვა და შესწავლა, მათ შორის საბჭომ განიხილა და მოისმინა დაწესებულების არგუმენტები ავტორიზაციის მე-4 სტანდარტთან მიმართებით, თუმცა მისი მოსაზრებით, დაწესებულების წარმომადგენლები საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის და კითხვებზე პასუხების გაცემის დროს ხშირად იყვნენ არათანმიმდევრულები, რაზეც ავტორიზაციის საბჭოს წევრები მათ ურჩევდნენ, რომ ყურადღება გამახვილებინათ არსებით საკითხებზე. დავით აფრასიძემ სააპელაციო საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ თავდაპირველად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, საერთაშორისო ექსპერტმა გააკეთა მიმოხილვა, შემდეგ ადგილობრივმა ექსპერტებმა მოახსენეს ავტორიზაციის საბჭოს ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, ამის შემდგომ, დაწესებულების წარმომადგენლებს მიეცათ საშუალება, რომ ყურადღება გამახვილებინათ ძირითად თემებზე.

სააპელაციო საბჭოს წევრი, სოფიკო ლობჯანიძე დაინტერესდა მე-4 სტანდარტის შეფასების საკითხით და მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ როდესაც ისინი გაეცნენ დასკვნის პროექტს, მათ ჰქონდათ საშუალება არგუმენტირებულ პოზიციაში აესახათ მე-4 სტანდარტის შეფასებასთან დაკავშირებული ფაქტობრივი უზუსტობა, რაზეც ნინო კერძაია განაცხადა, რომ აღნიშნული არ წარმოადგენს დაწესებულების ვალდებულებას და მიმართავდა დავით აფრასიძეს, რომ დაესახელებინა რომელიმე სამართლებრივი ნორმა, რომელიც დაწესებულებას ავალდებულებდა, რომ ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარისთვის შეესწორებინა აღნიშნული სტანდარტი ან შენიშვნა მიეცათ აღნიშნულთან დაკავშირებით. ნინო კერძაიას განმარტებით ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარე იყო საჯარო მოხელე და მისი ვალდებულება იყო აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრა.

ნოდარ პაპუკაშვილმა მიმართა სააპელაციო საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შეკითხვა. საბჭოს წევრებს დამატებითი კითხვები არ ჰქონდათ

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 19:09 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 19:28 საათზე.

სააპელაციო საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საფუძველზე 4 სტანდარტი შეფასებული იყო როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება, საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტ უნიჯეოსთვის უარის თქმის შესახებ შეესაბამებოდა კანონონმდებლობის მოთხოვნებს. ნოდარ პაპუკაშვილმა განაცხადა, რომ საბჭო იყო ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიღებისას.

მან განაცხადა, რომ საბჭომ იმსჯელა მოცემულ საქმეზე და კენჭისყრაზე დააყენა „შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეოსთვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 23 ოქტომბრის №85-ე გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 26⁷-ე მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაზიარებულ იქნას „შპს საქართველოს საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი უნიჯეოსთვის ავტორიზაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 23 ოქტომბრის №85-ე გადაწყვეტილება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 19:30 საათზე.

თავმჯდომარე

ნოდარ პაპუკაშვილი



მდივანი

დევი ხვედელიანი

